საქართველოს მთავრობის

განკარგულება №2171

2015 წლის 7 ოქტომბერი

ქ. თბილისი

საქართველოს 2015-2019 წლების ინტეგრირებული ბირთვული დაცულობის მხარდაჭერის გეგმის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ს“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული, საქართველოს 2015-2019 წლების ინტეგრირებული ბირთვული დაცულობის მხარდაჭერის გეგმა.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

	შესაძლებლობის შექმნა.	სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო			მობილური სისტემით. ასევე შეიქმნა ეროვნული კომუნიკაციების სისტემა ლოკალური და მობილური სისტემების საერთო ქსელში გასაერთიანებლად. • საჭიროა დამატებითი დახმარების მიღება დონორებისგან, რათა მოხდეს მწვანე საზღვრის აღჭურვა პორტატული სადგურებით, დამატებითი აღჭურვილობით და ტრენინგებით უზრუნველყოფა. • NSOI-სა და საქართველოს შორის არსებული პროექტი რადიაციის დადგენის მობილური პატრულირების შემოღების შესახებ მიზნად ისახავს საქართველოში არაკანონიერად შემოტანილი რადიოაქტიური ნივთიერებების გამოვლენის შესაძლებლობების გაუმჯობესებას და მოიცავს: ○ შინაგან საქმეთა სამინისტროს პერსონალის რადიაციის დეტექტორით აღჭურვილი მინივენით და ხელის დეტექტორებით (პერსონალური რადიაციული დეტექტორი, რადიო-იზოტოპური იდენტიფიკატორი და პორტატული რადიომეტრი) უზრუნველყოფას; ○ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის ტრენინგების ჩატარებას ბირთვული კონტრაბანდის ტენდენციებზე, შესაბამისი აღჭურვილობის გამოყენებასა და მის მომსახურებაზე, რადიოაქტიური ნივთიერებების აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების პროცედურებზე. ○ კოორდინაციას აშშ-ს დახმარების მომწოდებლებთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას მოცემული აღჭურვილობის თავსებადობა საზღვარზე გამოყენებულ აღჭურვილობასთან. • საქართველოსა და აშშ სახელმწიფო დეპარტამენტს (EXBS და NSOI შორის მიმდინარე პროექტი საქართველოს სანაპირო დაცვის მხარდაჭერის, რომლის მიზანია საქართველოს საზღვაო ტერიტორიების მონიტორინგის გაუმჯობესება სანაპირო ზოლში პატრულირების გაზრდის გზით.
3.B.3	მომსახურება და აღჭურვილობის მოვლა მდგრადი, სანდო და ზუსტი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; ფინანსთა	მიმდინარე		• აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტი გამოყოფს ფინანსურ დახმარებას, რათა მოხდეს მეორე ხაზის თავდაცვის პროგრამის (SLD) ფარგლებში დაინსტალირებული ფიქსირებული პორტალური რადიაციული მოინტორების ტექნიკური მომსახურება. • შინაგან საქმეთა სამინისტროს ტექნიკური სპეციალისტები უზრუნველყოფენ შესაბამის ტექნიკურ მომსახურებას; • მეორე ხაზის თავდაცვის პროგრამა (SLD) უზრუნველყოფს

		სამინისტრო; აშშ ენერგეტიკის დეპარტამენტი.			შეკეთებას. პროგრამის ფარგლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები დატრენინგდნენ ტექნიკური მომსახურების საკითხებში. მეორე ხაზის თავდაცვის პროგრამამ (SLD) ასევე უზრუნველყო აღჭურვილობის მარაგი ნაწილების მოწოდება და აგრძელებს აღჭურვილობის შეკეთება/შეცვლას საჭიროებისამებრ.
3.B.4	მოთხოვნისა და საჭიროების მიხედვით ტექნიკური სადამკვირვებლო მისიის განხორციელება მარეგულირებელი კონტროლის გარეთ არსებული ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური ნივთიერებების ინსტრუმენტული დეტექციის მიზნით ბირთვული უსაფრთხოების სისტემების შესაქმნელად.	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი; აშშ ენერგეტიკის დეპარტამენტი (SLD) აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი (EXBS და NSOI) აშშ თავდაცვის დეპარტამენტი (DTRA) NATO-ს ევროპის არმიის სარდლობა	დასრულებული		საქართველოს აქვს კარგად ჩამოყალიბებული დეტექციის არქიტექტურა (იხ 3.B.1 და 3.B.2).
3.B.5	ტრენინგების ჩატარება დეტექციის აღჭურვილობის სწორი	შესაბამისი სამინისტროები;	მიმდინარე	განგრძობითი	• მიმდინარეობს რამოდენიმე წარმატებული პროგრამა რადიაციის უსაფრთხოების სფეროში, როგორიცაა თავდაცვითი საფრთხის

	გამოყენებისათვის წინა ხაზის ოფიცრების და აღჭურვილობის ძირითადი ოპერატორებისთვის	ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი; დონორები			შემცირების სააგენტოს მიერ განხორციელებული (აშშ თავდაცვის დეპარტამენტი), ასევე ექსპორტის კონტროლის და საზღვრების უსაფრთხოების პროგრამა (აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი). პროგრამების ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს უტარდებათ რეგულარული ტრენინგი პროფესიული უნარების განვითარებისთვის, რათა შეძლონ აღმოჩენის, შეფასებისა და სპეციალური ღონისძიებების განხორციელება აკრძალული და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის/ ნივთიერებების კონტროლის მიმართულებით. • ამ სფეროში სასწავლო პროგრამების გაუმჯობესება და კოორდინაცია შესაძლოა შესაბამისი კადრების განვითარების სახელმწიფო პროგრამასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადაპტირების და თავსებადობის უზრუნველყოფის გზით. • 2006 წელს მეორე ხაზის თავდაცვის პროგრამის (SLD) ფარგლებში აღიჭურვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლილოს სასწავლო ცენტრი. კერძოდ, პერსონალის დატრენინგების მიზნით დამონტაჟდა ფეხით მოსიარულეთა და საავტომობილო ტრანსპორტის რადიაციის პორტალური მონიტორებით აღჭურვილი მოდელური სასაზღვრო-გამტარი პუნქტი. • მეორე ხაზის თავდაცვის პროგრამამ (SLD) უზრუნველყო სასაზღვრო პოლიციის/პატრულის 100 თანამშრომლისა და სსიპ - შემოსავლების სამსახურის 40-ზე მეტი თანამშრომელის დატრენინგება რეაგირების, ასევე პორტალური რადიაციის დეტექტორის ოპერირებისა და ტექნიკური მომსახურების მიმართულებებით. • სასაზღვრო პოლიციისა და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც აღჭურვილნი არიან რადიაციის დეტექტორებით და სპექტრომეტრებით, იმისათვის, რომ მოახდინონ საეჭვო ტვირთების მეორადი შემოწმება, დატრენინგებული არიან ქართველი სპეციალისტების მიერ; სასწავლო მასალები შეესაბამება ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მოთხოვნებს აღნიშნულ სფეროში. • გაეროს უშიშროების საბჭოს N1540 რეზოლუციის კომიტეტის ანგარიშის მიხედვით, სსიპ - შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები დატრენინგდნენ შესაბამის პროცედურებში. • ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ბირთვული უსაფრთხოების ოფისის მხარდაჭერით ჩატარდა ეროვნული სასწავლო კურსი წინა ხაზის ოფიცრებისთვის 2007 წლის 15-19

					ოქტომბერს ქ. ფოთში (საქართველო) რადიაციის დეტექციის აღჭურვილობის მოქმედების პრინციპებისა და გამოყენების მიმართულებით.

მოქმედების სფერო 4: რეაგირება

4.A ამოცანა – *ეროვნული რეაგირების სისტემის შექმნა იმ დანაშაულებრივი და არასანქცირებული ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, რაც იწვევს ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების მარეგულირებელი კონტროლიდან გამოსვლას და ბირთვული დაცულობის რეჟიმის დარღვევას*

ღონისძიება		*პასუხისმგებელი პირი*	*სტატუსი/ წყარო*	*დაგეგმილი დასრულება*	*შენიშვნები*
4.A.1	ეროვნული გეგმის შემუშავება იმ ინციდენტებზე რეაგირების მიზნით, რომელიც დაკავშირებულია ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალურ მიმოქცევასთან და რომელიც ასევე მოიცავს ამდაგვარი ნივთიერებების ამოღების პროცედურებს კომპეტენტური უწყებების მიერ	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.	მიმდინარე		• ,,საქართველოს სასაზღვრო განტარ პუნქტებში, აეროპორტებში, ნავსადგურებსა და საზღვაო სივრცეში ბირთვულ და რადიოაქტიურ ნივთიერებათა აღმოჩენისას განგაშზე ერთობლივი მოქმედების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 დეკემბრის N397 დადგენილება განსაზღვრავს საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, აეროპორტებში, ნავსადგურებსა და საზღვაო სივრცეში ბირთვულ და რადიოაქტიურ ნივთიერებათა აღმოჩენისას და გადაადგილებისას კომპეტენტურ ორგანოთა მიერ ერთობლივი მოქმედებების განხორციელების წესს. • ,,ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალურ მიმოქცევაზე რეაგირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 8 დეკემბრის N150 ბრძანება ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მიერ, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების მიზნით, ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალური მიმოქცევის აღკვეთის შემთხვევის შემდგომი რეაგირების განხორციელების წესს. • შესაბამისი ინსტრუქციები და სახელმძღვანელოები არის შესამუშავებელი და დასამტკიცებელი. • „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, „ტექნიკური რეგლამენტის – ბირთვული და რადიაციული ავარიებისათვის მზადყოფნის და მათზე რეაგირების გეგმის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
					მთავრობის დადგენილება მიღებულ უნდა იქნას 2016 წლის პირველ იანვრამდე.
4.A.2	შემფასებელი მისიის განხორციელება მოთხოვნისა და საჭიროების შემთხვევაში, რეაგირების გეგმების პროექტების მომზადებაში დახმარების გაწევის მიზნით	ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი; აშშ; EU.	განგრძობითი		
4.A.3	რეაგირების გეგმის შესაბამისად საეჭვო ბირთვული და რადიოაქტიული ნივთიერებების დაკავების პროცედურების შემუშავება	შესაბამისი სამინისტროები (იხ. 4.A.1)	დასრულებული		განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით და გამოიყენება სახელმწიფო საზღვარზე
4.A.4	რეაგირების გეგმების ეფექტური და დროული მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი კომპეტენტური უწყებების მიერ ამ გეგმების პერიოდული ტესტირება ვარჯიშების, ტრენინგებისა და შეფასების გზით	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი	მიმდინარე		• 2009 წლის მაისში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ბირთვული კონტრაბანდის პრევენციის პროგრამის (PNSP) ფარგლებში თბილისში ჩატარდა საშტაბო სწავლება; • რეაგირების ძალები და საშუალებები ტესტირებული იქნა რეალური სიტუაციების იმიტირებით (2004, 2009); • 2012 წელს NATO-ს ეგიდით ჩატარდა საველე სწავლება "Georgia-2012", რადიაციული ავარიის კომპონენტით.

ღონისძიება		პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
		განვითარების სამინისტრო, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; ოპერატორები; აშშ.			
4.A.5	საჭიროების შემთხვევაში და შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე შეფასებითი/ექსპერტული მისიის განხორციელება ვარჯიშებში მონაწილეობისა და რჩევების მიღების გზით	ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	მოთხოვნილი უნდა იქნას	2017	• დაგეგმილია ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინტეგრირებული მარეგულირებელი შემოწმების საბსახურის (IRSS) მისიის მოთხოვნა, რომელიც მოიცავს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოებისა და დაცულობის ყველა საკითხს. • საქართველო მონაწილეობს ტრანსსასაზღვრო ღონისძიებებში მეზობელ სახელმწიფოებთან ერთად; მაგალითად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კოორდინაციით 2012 წელს ჩატარდა ერთობლივი სწავლება საქართველოს და სომხეთის შესაბამის სახელმწიფო უწყებების მონაწილეობით, საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიებზე (მხარდაჭერა განხორციელდა SLD, EXBS, DTRA და EC JRC მიერ). იგეგმება ამგვარი სწავლებების პერიოდული ჩატარება. • SLD და FBI ერთობლივი მხარდაჭერით 2009 წლის სექტემბერში თბილისში ჩატარდა ტრენინგი და საველე ვარჯიში „მობილური დადგენა ბირთული და სხვა რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალური მიმოქცევის აღკვეთის მობილური დეტექცია“

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
4.A.6	ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალური მიმოქცევის აღკვეთის მიმართულებით შესაბამისი ტრენინგების ჩატარება	შესაბამისი სამინისტროები (იხ. 4.A.1)	მიმდინარე	განგრძობითი	

4.B ამოცანა – *ეროვნული შესაძლებლობების შექმნა და მხარდაჭერა წინა ხაზზე ტექნიკური დახმარების მიწოდებით, დეტექციის საშუალებების გაუმჯობესებით, საჭვო ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერების კატეგორიზაციისა და დახასიათებისთვის რესურსების მიწოდებით*

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
4.B.1	დეტექციისა და სხვა სახის ტექნიკური აღჭურვილობის მოძიება იმ ორგანიზაციების აღჭურვის მიზნით, რომლის ფუნქციაა საჭვო რადიოაქტიური ნივთიერებების პირველადი შეფასება	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი; საქართველოს	მიმდინარე		• ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ეროვნული ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის („ეროვნული ინფრასტრუქტურის განვითარება ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არასანქცირებულ გამოყენებაზე რეაგირების მიზნით“) საქართველოს 2009 წელს მიაწოდა ტექნიკური საშუალებები საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის სპეციალისტების აღჭურვის მიზნით: ▪ 5 ერთეული პერსონალური რადიაციის დოზიმეტრი; ▪ 3 ერთეული რადიონუკიდების იდენტიფიკაციის ხელსაწყო ▪ 1 ერთეული HPGE (მაღალი სისუფთავის გერმანიუმი) დეტექტორი ▪ 1 სპექტრული რადიაციის პორტატული სკანერი • საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უნდა წარმოადგინოს იმ აღჭურვილობის ჩამონათვალი, რომელსაც ის გამოიყენებს, ასევე დამატებითი აღჭურვილობის შესახებ მოთხოვნა, რაც საჭიროა ტვირთების შემოწმებისთვის.

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
		გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო			• საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალისტიკის სამსახურს ევროკომისიის მიერ 2014 წელს გადაეცა აღჭურვილობა ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების მობილური კრიმინალური კვლევის (Nuclear Forensics) მიზნით.
4.B.2	მდგრადი ეროვნული ტექნიკური შესაძლებლობის შექმნა წინა ხაზზე (სახელმწიფო და საბაჟო საზღვარი) ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების გამოვლენის ხელშეწყობის მიზნით	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	დასრულებული		• ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტი ატარებს აღმოჩენილი/დაკავებული ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების წინასწარ შეფასებას. ○ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის (EXBS და NSOI) მიერ მხარდაჭერილია პროექტი „სამართლდამცავი და სასაზღვრო უსაფრთხოების პერსონალს შორის კომუნიკაციებისა და კოორდინაციის გაუმჯობესება“, რომლის ფარგლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასაზღვრო პოლიციას და შემოსავლების სამსახურს და სხვა უწყებებს გადაეცა პორტატული რადიოკავშირის საშუალებები დაცული და მოქნილი კომუნიკაციის მიზნით.
4.B.3	ბირთვული ექსპერტიზის ღონისძიებების სრულყოფა ბირთვული ექსპერტიზის ტექნიკის გამოყენებისთვის, კრიმინალური მიმოქცევიდან ამოღებული ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების შესაბამისი ლაბორატორიული საშუალებით შეფასების მიზნით	შესაბამისი სამინისტროები ევროკავშირი; აშშ.	მიმდინარე		• საქართველო აუმჯობესებს ბირთვულ ექსპერტიზის შესაძლებლობებს ბირთვული მასალების არალეგალური მიმოქცევის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ტექნიკურ სამუშაო ჯგუფში მონაწილეობით (ITWG). პროექტის მხარდამჭერები არიან ევროკავშირისა და აშშ-ს მთავრობა. პროექტის ამოცანებია: ○ ბირთვული ექსპერტიზის შესაძლებლობების განვითარება საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუციების მიერ; ○ თანამშრომლობის გაუმჯობესება საქართველოს ტექნიკურ ექსპერტებსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის; ○ საქართველოს სამეცნიერო სფეროსა და ბირთვულ

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
					ექსპერტიზის წარმომადგენლებსა და საერთაშორისო სამეცნიერო წრეებს შორის კონტაქტების დამყარება და თანამშრომლობის გაღრმავება, ბირთვული ექსპერტიზის როგორც თეორიული, ისე ანალიტიკური ტიპის საქმიანობაში მონაწილეობის გაზრდით. ○ ქართველ სამართლდამცავ ორგანოებსა და მათ უცხოელ კოლეგებს შორის კონტაქტების და თანამშრომლობის გაუმჯობესება; ○ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შესატყვისობის უზრუნველყოფისთვის ჩარჩოს შექმნა ბირთვული ექსპერტიზის სფეროში, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ბირთვული ექსპერტიზის ხელისშეწყობის სახელმძღვანელოს მიხედვით (2006); ○ ადგილობრივი (ეროვნული) ბირთვული ექსპერტიზის შესაძლებლობების გაძლერება მასალების კატეგორიზაციისა და დახასიათების მიმართულებით (categorization and characterization).
4.B.4	რადიაციის დეტექციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაში ტრენინგების ჩატარება ეროვნული ტექნიკური რეაგირების შესაძლებლობის განვითარების მიზნით	შესაბამისი სამინისტროები ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი; დონორები	მიმდინარე	განგრძობითი	სსიპ - შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებისთვის ჩატარდება დამატებითი ტრენინგები.

4.C ამოცანა – *ბირთვული უსაფრთხოების ღონისძიებებისთვის საერთაშორისო ინფორმაციის გაზიარებასა და თანამშრომლობაში მონაწილეობა*

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
4.C.1	რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე ინფორმაციის გაზიარებასა და მრავალმხრივ ინიციატივებში მონაწილება ბირთვული უსაფრთხოების სფეროში ინფორმაციის კოორდინაციისა და გაცვლისთვის. აღნიშნული მოიცავს ტექნიკურ თანამშრომლობას და დახმარებას, თანამშრომლობას სამართალდარღვევის გამოვლენის, ამოღებული მასალის დაბრუნების, ბირთვული ექსპერტიზის განხორციელების სფეროებში	საქართველოს მთავრობა	მიმდინარე	განგრძობითი	• გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს N1373 რეზოლუციის კომიტეტის ანგარიშში (2001) აღნიშნულია, რომ საქართველოსა და პარტნიორი ქვეყნების სპეციალური სამსახურები რეგულარულად უზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას ტერორისტული აქტების პრევენციის მიზნით. • გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს N1540 რეზოლუციის კომიტეტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველომ გააფორმა საერთაშორისო ხელშეკრულება სომხეთთან, ავსტრიასთან, აზერბაიჯანთან, ბელორუსიასთან, ბულგარეთთან, ეგვიპტესთან, ესტონეთთან, საფრანგეთთან, უნგრეთთან, იტალიასთან, ყაზახეთთან, ლატვიასთან, მალტასთან, მოლდოვასთან, პოლონეთთან, რუმინეთთან, თურქეთთან, უკრაინასთან, გაერთიანებულ სამეფოსთან და უზბეკეთთან დანაშაულთან ბრძოლისა და პოლიციური სტრუქტურების თანამშრომლობის შესახებ, რაც ასევე გულისხმობს ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალური მიმოქცევის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობასაც. • ევროკომისიის ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების კომპეტენციათა ცენტრები: (CBRN COE): 2012 წელს, ევრკომისიის ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების კომპეტენციათა ცენტრების ინიციატივის საპაუხოდ საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად დაადასტურა მისი მზაობა მონაწილეობა მიიღოს ამ ინიციატივის განხორციელებაში და მხარი დაუჭირა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების რეგიონული სამდივნოს დაფუძნებას ქ. თბილისში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია). • გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოსა და აშშ-ს შორის ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებებით უკანონო ვაჭრობის აღსაკვეთის მიზნით თანამშრომლობის შესახებ. • საქართველოს მონაწილეობა ტრანს-სასაზღვრო ღონისძიებებში შეფასდა ქვეყნის ანგარიშში, როგორც საქართველოს მიერ მასობრივი განადგურების იარაღის უკანონო ტრანსსასაზღვრო

ღონისძიება		პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
					მოძრაობის აღმოჩენისა და აღმოფხვრისათვის შიდა, ორმხრივი და საერთაშორისო შეტყობინებისა და რეაგირების პროცეუდრების განხორციელების წარმატებული გამოვლინება. • ხელი მოეწერა შეთანხმებას აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტსა და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის „საქართველოს რადიოაქტიური წყაროების უსაფრთხოების გაძლიერების სფეროში თანამშრომლობის თაობაზე“ (2011 წლის 7 სექტემბერი).
4.C.2	ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ბირთვული უსაფრთხოების ოფისსთან დაკავშირება და არალეგალური მიმოქცევის მონაცემთა ბაზისთვის (ITDB) ეროვნული საკონტაქტო პირის წარდგენა	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი.	დასრულებული		საკონტაქტო პირი წარდგენილია
4.C.3	საჭიროების შემთხვევაში ბირთვული უსაფრთხოების რეჟიმის დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება იმ ქვეყნებისთვის, რომლებზეც ეს დარღვევა მოახდენს, ან შესაძლოა რომ მოახდინოს ზემოქმედება, საერთაშორისო ვალდებულებების, ეროვნული კანონმდებლობისა და ატომური ენერგიის	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	მიმდინარე		• შეტყობინებები ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს არალეგალური მიმოქცევის მონაცემთა ბაზის (ITDB) ინსტრუქციების შესაბამისად. • გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტი ფუნქციონირებს, როგორც უნიკალური საკონტაქტო ორგანიზაცია ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს არალეგალური მიმოქცევის მონაცემთა ბაზის (ITDB). • ხორციელდება ინციდენტების შესახებ არალეგალური მიმოქცევის

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
	საერთაშორისო სააგენტოს ITDB - თან ოფიციალური კომუნიკაციის პროცედურების შესაბამისად				მონაცემთა ბაზის (ITDB რუტინული შეტყობინება.

მოქმედების სფერო 5: მდგრადობა

5.A ამოცანა – *ეროვნული ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ადამიანური რესურსების განვითარების პროგრამის შემუშავება*

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
5.A.1	ტრენინგების/განათლების საჭიროებების ანალიზის (TENA) ჩატარება, რომელიც მოიცავს ქვეყანაში ბირთვული უსაფრთხოების საკითხებში ჩართულ ყველა მხარეს ▪ პასუხისმგებელი პირის დანიშვნა ყველა ორგანიზაციაში ▪ რეგულარული შეხვედრების მოწყობა, რომ მოხდეს ტრენინგების საჭიროების ყოვლისმომცველი ანალიზი ქვეყანაში; ▪ საჭიროების მიხედვით, ტრენინგების/განათლების საჭიროებების ანალიზის განსახორციელებლად ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დახმარების მოთხოვნა	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; შესაბამისი სამინისტროები; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი	ინიცირებული უნდა იქნას	2018	• რადიაციული თავდაცვის და რადიაციული წყაროების ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების შეფასების (RaSSIA) მისის დასკვნის (2005) მიხედვით არ არსებობს ოფიციალური ტრენინგების ან უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამები • საქართველოს სჭირდება განსაზღვროს საკუთარი სტრატეგიული ინტერესები ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში ადამიანური რესურსების განვითარების პროგრამის მიმართულებით და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან აღნიშნულ საკითხებზე თანამშრომლობის მიზნით. • ბირთვული დაცულობის საკითხებში ჩართული ყველა დაინტერესებული პირისათვის ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დახმარება მოთხოვნილი იქნება ადამიანური რესურსების საჭიროებების შეფასებაში დახმარების კუთხით. • ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტი ჩართულია ბირთვული უსაფრთხოების ტრენინგებსა და დახმარების ცენტრების (ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო) სამუშაო ჯგუფების საერთაშორისო ქსელის საქმიანობაში
5.A.2	ბირთვული უსაფრთხოების ადამიანური რესურსების განვითარების პროგრამის შემუშავება, რომელიც მოერგება ქვეყნის საჭიროებებს ტრენინგების/განათლების საჭიროებების ანალიზის (TENA)	შესაბამისი სამინისტროები	ინიცირებული უნდა იქნას	2018	პროგრამა უნდა იყოს გაწერილი მინიმუმ ორწლიანი ვადით, უნდა მოიცავდეს შესაბამისი თემატიკის ტრენინგ-კურსებს.

	შედეგების საფუძველზე				
5.A.3	ეროვნული ბირთვული უსაფრთხოების დახმარების ცენტრის (NSSC) შექმნის საკითხის განხილვა	შესაბამისი სამინისტროები; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი; დონორები	მიმდინარე		• ღონისძიებები, მიმართული იმისკენ, რომ მოხდეს ცენტრის შექმნა.
5.A.4	საჭირო რესურსების მოძიება (ინფრასტრუქტურა და ადამიანური რესურსები), რისი გამოყენებაც უკვე შესაძლებელია, ან შესაძლოა მათი დაქირავება/განვითარება	შესაბამისი სამინისტროები	მიმდინარე	განგრძობითი	
5.A.5	კვალიფიციურ ინსტრუქტორთა ტრენინგი და განვითარება	ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტი	მიმდინარე	განგრძობითი	

5. B *ამოცანა– ბირთვული უსაფრთხოების კულტურის შექმნა და მხარდაჭერა*

ღონისძიება	*პასუხისმგებელი პირი*	*სტატუსი/ წყარო*	*დაგეგმილი დასრულება*	*შენიშვნები*

5.B.1	ბირთვული უსაფრთხოების კულტურის შექმნისათვის, მისი განვითარებისა და შენარჩუნებისათვის შესაბამისი პრიორიტეტის მინიჭება, რათა მოხდეს მისი ეფექტიანი განხორციელება ყველა იმ ორგანიზაციაში, რომელიც ჩართულია ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში	შესაბამისი სამინისტროები	ინიცირებული უნდა იქნას	2018	საჭიროა სატრენინგო პროგრამის განსაზღვრა ბირთვული უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბების მიმართულებით
5.B.2	ტრენინგების ჩატარება ბირთვული უსაფრთხოების კულტურის საკითხებში, რომელიც დაფინანსებულია ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს და სხვა დონორების მიერ	შესაბამისი სამინისტროები; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი; დონორები	მოთხოვნილი უნდა იქნას	2019	• საქართველო მომავალში მიწვეული იქნება სამუშაო შეხვედრებზე ამ სფეროს განვითარების მიზნით; • საჭირო იქნება დამატებითი ტრენინგები ბირთვულ უსაფრთხოების კულტურის სფეროში.

5. C ამოცანა - *ბირთვული უსაფრთხოების შესახებ სენსიტიური ინფორმაციის დაცვა*

ღონისძიება		*პასუხისმგებელი პირი*	*სტატუსი/ წყარო*	*დაგეგმილი დასრულება*	*შენიშვნები*
5.C.1	ეროვნული მოთხოვნების შემუშავება ეროვნული უსაფრთხოების	საქართველოს გარემოსა და	დასრულებული		• ყველა ინფორმაცია დაცულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში, საქართველოს

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
	საინფორმაციო და შესაბამის ტექნოლოგიურ სისტემების მიმართ	ბუნებრივი რესრსების დაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო			შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში; • შემუშავებულია შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.
5.C.2	ეროვნული უსაფრთხოების საინფორმაციო და შესაბამისი ტექნოლოგიური სისტემების განსაზღვრა, მათ მიმართ შესაბამისი დაცვის ღონისძიებების გატარების მიზნით	შესაბამისი სამინისტროები	დასრულებული		
5.C.3	ობიექტის დონეზე დაცულობის პოლიტიკისა და ადგილობრივი უსაფრთხოების გეგმის უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს ინფორმაციის უსაფრთხოებასა და საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოებას	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; საქართველოს	დასრულებული		• ოპერატორებს მოეთხოვებათ სენსიტიური (კლასიფიცირებული) ინფორმაციის დაცვა; • კლასიფიცირებული ინფორმაციის დაცვა ხორციელდება შესაბამისი კანონმდებლობით.

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
		შინაგან საქმეთა სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; ობიექტები.			
5.C.4	ტრენინგების ჩატარება ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებებთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცულობაში	შესაბამისი სამინისტროები; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი; დონორები	მიმდინარე		

5.D ამოცანა–თანამშრომელთა/პერსონალის სანდოობის პროგრამების შემუშავება შიდა საფრთხეებისაგან დაცვისა და პრევენციის მიზნით

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
5.D.1	მოთხოვნების დადგენა სახელმწიფო უწყებების თანამშრომელთა პიროვნების სანდოობის განსაზღვრისათვის პერსონალური მონაცემების დაცვისა და შრომის	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საქართველოს	დასრულებული		• იმ თანამშრომელთა დაშვების პროცედურების შემუშავება, რომელთაც ექნებათ წვდომა სენსიტიურ ინფორმაციასთან/ობიექტებთან/მასალებთან.

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
	კანონმდებლობის, სხვა რეგულაციებისა და პოლიტიკის გათვალისწინებით	შინაგან საქმეთა სამინისტრო.			
5.D.2	მოთხოვნების დადგენა ობიექტის თანამშრომელთა პიროვნების სანდოობის განსაზღვრისათვის პერსონალური მონაცემების დაცვისა და შრომის კანონმდებლობის, სხვა რეგულაციებისა და პოლიტიკის გათვალისწინებით	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.	დასრულებული		
5.D.3	ობიექტებზე და აქტივობების განხორციელებისას ადგილზე პრევენციული ღონისძიებების უზრუნველყოფა შესაძლო შიდა საფრთხეების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის მიზნით, აგრეთვე საფრთხეების მინიმუმამდე დაყვანისა და განზრახ ზიანის მიყენების პრევენციისათვის.	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; ობიექტები	მიმდინარე		• ოპერატორი ვადებულია უზრუნველყოს ობიექტი უსაფრთხოებისა და დაცულობის ღონისძიებებით და პერიოდულად განახორციელოს ამ სისტემების გადახედვა/ განახლება; • უსაფრთხოების და დაცულობის ზომები კონტროლდება ინპექტირების განხორციელებისას.
5.D.4	ტრენინგის ჩატარება შიდა საფრთხის თემაზე ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსა და სხვა დონორების მხარდაჭერით	შესაბამისი სამინისტროები; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის			

ღონისძიება		პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
		დეპარტამენტი; დონორები			

5. E *ამოცანა - შეთავაზებული ინტეგრირებული ბირთვული უსაფრთხოების მხარდაჭერის გეგმის ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგი*

ღონისძიება		პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
5.E.1	ბირთვული უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელების (იმპლემენტაციის) პროგრესის მიმოხილვა. ინტეგრირებული ბირთვული დაცულობის მხარდაჭერის გეგმის განახლება.	შესაბამისი სამინისტროები; სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი		2020	

5. F ამოცანა–*მულტიდისციპლინარული საკონსულტაციო მისიების ჩატარება, რათა უზრუნველყოფილ იქნას დამოუკიდებელი შეფასება და დასრულებული და მდგრადი ბირთვული უსაფრთხოების ღონისძიებების დადასტურება*

ღონისძიება	პასუხისმგებელი	სტატუსი/	დაგეგმილი	შენიშვნები

		პირი	წყარო	დასრულება	
5.F.1	მოთხოვნის შესაბამისად და საჭიროებისამებრ განხორციელდეს, ბირთვული უსაფრთხოების საერთაშორისო საკონსულტაციო მისია (INSServ) ბირთვულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესაბამისი კანონმდებლობის, რეგულაციებისა და ეროვნული ინფრასტრუქტურის შესამოწმებლად.	შესაბამისი სამინისტროები; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი			მისიის მოთხოვნა მოხდება საჭიროების შემთხვევაში
5.F.2	ბირთვული უსაფრთხოების საერთაშორისო საკონსულტაციო მისიის (INSServ) რეკომენდაციების გათვალისწინება ბირთვული უსაფრთხოების სისტემების საჭიროებისამებრ განახლების პროცესში.	შესაბამისი სამინისტროები; ობიექტები; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი; დონორები			

ზოგადი ინფორმაცია ბირთვული იარაღის და/ან რადიოაქტიური ნივთიერებების შესახებ საქართველოში
1. თბილისთან, სოფ. მუხათგვერდში განთავსებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტის IRT-M კვლევის რეაქტორი. მიმდინარეობს რეაქტორის დეკომისია. როგორც ახალი, ისე გამოყენებული საწვავი გადატანილია გაერთიანებულ სამეფოში, შოტლანდიაში, 1998 წლის აპრილში, აშშ-ს, გაერთიანებულ სამეფოსა და საქართველოს ერთობლივი პროექტის მეშვეობით.
2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტის ქვეკრიტიკული ანაწყობი "Breeder-1", რომელიც შეიცავს მაღალგამდიდრებულ ურანს, უნდა დაბრუნდეს რუსეთის ფედერაციაში IAEA-US-RF (ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო - ამერიკის შეერთებული შტატები - რუსეთის ფედერაცია) სამმხრივი RRRFR (Russian Research Reactor Fuel Return) პროგრამის ფარგლებში.

3. თბილისის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი და ი. ვეკუას სახელობის სოხუმის ფიზიკისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტი არ ფლობს ბირთვულ (ხლეჩად) მასალებს.

ინტეგრირებული ბირთვული დაცულობის მხარდაჭერის გეგმა

საქართველო

2015-2019

IAEA International Atomic Energy Agency

მოქმედების სფერო 1: საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო

1. A ამოცანა – სახელმწიფო უწყებების განსაზღვრა ეროვნული ბირთვული დაცულობის რეჟიმის მართვისთვის ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით

	ღონისძიება	*პასუხისმგებელი პირი*	*სტატუსი/ წყარო*	*დაგეგმილი დასრულება*	*შენიშვნები*
1.A.1	ბირთვული დაცულობის სფეროში კომპეტენტური უწყებების განსაზღვრა და მათი ფუნქციების გადანაწილება	საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი	დასრულებული	2012	• „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სახელმწიფო რეგულირებას ახორციელებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. ამავე კანონის თანახმად, სამინისტროს სისტემაში ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოებაზე უშუალო კონტროლს ახორციელებს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტი. ამასთან, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში უფლებამოსილი ორგანოებია: ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - ბირთვული და რადიაციული ობიექტების მშენებლობის ნებართვის გაცემა და მაიონებელი გამოსხივების კონტროლის ხელსაწყოების მეტროლოგიური უზრუნველყოფა; ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - ეროვნული და ტრანსსასაზღვრო რადიაციული ავარიებისთვის მზადყოფნისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის, ბირთვული და რადიაციული ობიექტების (გარდა მაიონებელი გამოსხივების გენერატორების შემცველი ობიექტებისა) ფიზიკური

ღონისძიება		პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
					დაცვის უზრუნველყოფა და კონტროლი; რადიოაქტიური მასალების გადაზიდვის, იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რადიოაქტიური მასალების არალეგალური მიმოქცევის თავიდან აცილებისა და აღკვეთის ღონისძიებების კოორდინაცია; ✓ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური – სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე ბირთვული, რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - თავდაცვის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ბირთვული და რადიაციული ობიექტების უსაფრთხოება და ფიზიკური დაცვა, ბირთვული ავარიის შემთხვევაში - საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების გეგმის ფარგლებში ავარიის შედეგების ლიკვიდაციისა და კანონით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობაში მონაწილეობა; ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - ბირთვული და რადიაციული ავარიების დროს დოზური ზღვრების დადგენა, ავარიაზე რეაგირების გეგმის ფარგლებში ავარიის შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილეობა, რადიოფარმაპრეპარატების რეგისტრაცია, დასხივების ქვეშ მყოფ მუშაკთა პერიოდული სამედიცინო შემოწმების წესის დადგენა; ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო - სურსათში, სასმელ წყალში, ცხოველის საკვებში და ნიადაგში რადიონუკლიდების შემცველობაზე კონტროლის განხორციელება; ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე კონტროლის განხორციელება; საერთაშორისო ორგანიზაციებთან

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
					ურთიერთობის კოორდინაცია; ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემა, ბირთვული და რადიოაქტიური მასალების საქართველოს ტერიტორიიდან ექსპორტზე, საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტსა და ტრანზიტზე კონტროლის განხორციელება.
1.A.2	მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა ბირთვული დაცულობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების დროს	საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტი	მიმდინარე	2016 წლის იანვარი	• საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო არის ეფექტურად დამოუკიდებელი თავის ქმედებებში. სამინისტრო ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიუჯეტს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. • ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოებაზე უშუალო კონტროლს ახორციელებს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტი („ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი). ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტი წარმოადგენს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს („საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის N98 დადგენილებით დამტკიცებული სამინისტროს დებულების მე-6 მუხლი). • ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების მარეგულირებელი სისტემის გაუმჯობესებისა და გაძლიერების მიზნით დაგეგმილია ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარატამენტის გარდაქმნა

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
					საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად („ქვეყანაში რადიოაქტიური ნარჩენების მართვის მოწესრიგების მიზნით განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 13 მარტის N528 განკარგულება).
1.A.3	ეროვნული ბირთვული დაცულობის კომიტეტის შექმნა ან სხვა ღონისძიებების გატარება, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის კოორდინაციასა და კომუნიკაციას კომპეტენტურ ორგანოებს შორის, ასევე კომპეტენტურ ორგანოებსა და ბირთვული დაცულობის სფეროში უფლებამოსილ პირებს შორის	საქართველოს მთავრობა; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.	დასრულებულია	2014	• „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო შექმნილია საქართველოს მთავრობის კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, თავდაცვის, სტაბილურობისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის სტრატეგიულ საკითხებზე, ეროვნული უსაფრთხოების სფეროში და საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი ყველა ტიპის კრიზისული სიტუაციების მართვის მიზნით საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მოსამზადებლად. • ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო შეიქმნა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 თებერვლის N201 დადგენილებით. საბჭოს ხელმძღვანელობს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და შედგება ყველა კომპეტენტური სახელმწიფო უწყების წარმომადგენლისაგან, როგორიცაა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ - ლევან სამხარეულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
					უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი, ასიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ასიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რიჩარდ გ. ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრი, ასიპ შემოსავლების სამსახური, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა კომისია. საბჭოს მუშაობაში მონაწილეობენ ასევე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი, აშშ-ს საელჩო საქართველოში, ევროკავშირის მისია საქართველოში და ევროკომისიის ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ცენტრის თბილისის რეგიონული სამდივნო. • „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგიის შემმუშავებელი უწყებათაშორისი საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვარის N49 დადგენილებით შეიქმნა უწყებათაშორისი საბჭო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგიის შემუშავების მიზნით.
1.A.4	სახელმწიფო უწყებების თანამდებობის პირებისთვის საერთაშორისო სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება, მათთვის ეროვნული ბირთვული დაცულობის რეჟიმის ფართო ხედვის გასაცნობად	საქართველოს მთავრობა; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო; დონორები.	მიმდინარე	განგრძობითი	• საქართველო მონაწილეობს ბირთვული უსაფრთხოების ტრენინგებისა და დახმარების ცენტრების ქსელის მუშაობაში; • ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ეროვნული სასწავლო კურსი ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალური მიმოქცევის წინააღმდეგ ცნობიერების ამაღლების სფეროში - საქართველო, თბილისი, 2004 წლის 30 აგვისტო - 3 სექტემბერი; • ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ეროვნული სასწავლო კურსი პირველი ხაზის დაცვის ოფიცრებისთვის - საქართველო, ფოთი, 2007 წლის 15-19 ოქტომბერი; • ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს სამუშაო

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
					შეხვედრა სახელმწიფო უწყებებისათვის პროექტირების საბაზისო საფრთხის (DBT) საკითხებზე - საქართველო, თბილისი 2011 წლის ოქტომბერი; • ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის დეპარტამენტის ეროვნული ბირთვული უსაფრთხოების ადმინისტრაციის მიერ გლობალური საფრთხეების შემცირების ინიციატივის ფარგლებში 2010 წლიდან საქართველოში ტარდება ყოველწლიური სემინარი (ბირთვული უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლება) და ტრენინგი (ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების ფიზიკური დაცვის და უსაფრთხოების მართვა) შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისათვის; • ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს შესაბამისი პერსონალის დატრენინგებას ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში.

1. B ამოცანა – *ბირთვული დაცულობის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შესრულება*

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
1.B.1	a. გახდეს მხარე და უზრუნველყოს იმ ვალდებულებების შესრულება, რაც განსაზღვრულია ,,ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ“ კონვენციით b. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთვის დახმარების თაობაზე მიმართვა, ბირთვული და	საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტი	მხარე	ოქტომბერი, 2007	

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
	რადიაციული უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში.				
1.B.2	a. გახდეს მხარე და უზრუნველყოს იმ ვალდებულებების შესრულება, რაც განსაზღვრულია „ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ“ კონვენციის შესწორებით. b. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთვის დახმარების თაობაზე მიმართვა, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში.	საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტი	მხარე	მარტი, 2012	
1.B.3	a. გახდეს მხარე და უზრუნველყოს იმ ვალდებულებების შესრულება, რაც განსაზღვრულია „ბირთვული ავარიის შემთხვევაში ადრეული შეტყობინების შესახებ“ კონვენციით b. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთვის დახმარების თაობაზე მიმართვა, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში.	საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტი	მხარე	ნოემბერი, 2010	
1.B.4	a. გახდეს მხარე და უზრუნველყოს იმ ვალდებულებების შესრულება, რაც განსაზღვრულია „ბირთვული	საქართველოს მთავრობა საქართველოს	არა-მხარე	2018	• საჭიროა ხელახალი ინიცირება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
	ავარიისა და რადიოლოგიური საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში დახმარების შესახებ“ კონვენციით b. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთვის დახმარების თაობაზე მიმართვა, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში.	პარლამენტი			
1.B.5	a. გახდეს მხარე და უზრუნველყოს იმ ვალდებულებების შესრულება, რაც განსაზღვრულია ,,ტერორისტული დაბომბვის წინაღმდეგ ბრძოლის შესახებ“კონვენციით b. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთვის დახმარების თაობაზე მიმართვა, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში.	საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტი	მხარე	2004	
1.B.6	a. გახდეს მხარე და უზრუნველყოს იმ ვალდებულებების შესრულება, რაც განსაზღვრულია ,,ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ“ კონვენციით b. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთვის დახმარების თაობაზე მიმართვა, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოებისა და	საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტი	მხარე	2010 წ	

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
	დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში.				
1.B.7	a. გახდეს მხარე და უზრუნველყოს იმ ვალდებულებების შესრულება, რაც განსაზღვრულია ,,საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი აქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“კონვენციით b. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთვის დახმარების თაობაზე მიმართვა, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში.	საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტი	მხარე	2006	
1.B.8	*a.* გახდეს მხარე და უზრუნველყოს იმ ვალდებულებების შესრულება, რაცგანსაზღვრულია ,,კონტინენტურ შელფზე განლაგებული სტაციონარული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” ოქმით. *b.* ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთვის დახმარების თაობაზე მიმართვა, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველყოფის	საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტი	მხარე	2006	

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
	მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში.				

1.C ამოცანა – *ბირთვული დაცულობის შესახებ გაეროს უსაფრთხოების საბჭოს* (UNSCR) *რეზოლუციების დაკმაყოფილება*

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
1.C.1	a. უზრუნველყოს იმ ვალდებულებების შესრულება, რაც განსაზღვრულია გაეროს ქარტიის VII თავით და გაეროს უშიშროების საბჭოს N1373 რეზოლუციით (UNSCR 1373). b. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთვის დახმარების თაობაზე მიმართვა, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში.	საქართველოს მთავრობა	ანგარიშგება	განგრძობითი	
1.C.2	a. უზრუნველყოს იმ ვალდებულებების შესრულება, რაც	საქართველოს მთავრობა	ანგარიშგება	განგრძობითი	ანგარიშები: 1. 2004 წლის 28 ოქტომბერი;

	განსაზღვრულია გაეროს ქარტიის VII თავით და გაეროს უშიშროების საბჭოს N1540 რეზოლუციით (UNSCR 1540). b. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთვის დახმარების თაობაზე მიმართვა, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში.				2. 2007 წლის 17 დეკემბერი; 3. 2013 წლის 2 ოქტომბერი.

1. D ამოცანა–*არასავალდებულო საერთაშორისო ინსტრუმენტების გამოყენება*

	ღონისძიება	*პასუხისმგებელი პირი*	*სტატუსი/ წყარო*	*დაგეგმილი დასრულება*	*შენიშვნები*
1.D.1	ბირთვული მასალებისა და ბირთვული ობიექტების ფიზიკური დაცვის შესახებ რეკომენდაციების განხორციელება (ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო - INFCIRC/225/Rev 5.)	საქართველოს მთავრობა	მიმდინარე	2016	• „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, „ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროებისა და ნარჩენების, მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) შესახებ" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება უნდა გამოიცეს 2016 წლის 1 იანვრამდე. • ბრძანებამ უნდა გაითვალისწინოს INFCIRC/225/Rev.5-ის რეკომენდაციები
1.D.2	რადიოაქტიური წყაროების უსაფრთხოებისა და დაცულობის ქცევის კოდექსის ინსტრუქციის აღიარება და განხორციელება	საქართველოს მთავრობა	მიმდინარე	მარტი, 2012	• ქვეყნის ეროვნული განცხადება 2012 წლის სეულის ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე: რადიოაქტიური წყაროების უსაფრთხოებისა და დაცულობის ქცევის კოდექსის პრინციპები აისახება ბირთვული და რადიაციული უსაფრთოების სფეროსთან დაკავშირებულ იმ კანონქვემდებარე ნორმატიული

					აქტებში, რომელთა მიღება იგეგმება ეროვნული საკანონმდებლო ბაზის შექმნის პროცესში.
1.D.3	რადიოაქტიური წყაროების იმპორტისა და ექსპორტის ქცევის კოდექსის დამატებითი ინსტრუქციების აღიარება და განხორციელება	საქართველოს მთავრობა	მიმდინარე	მარტი, 2012	• ქვეყნის ეროვნული განცხადება 2012 წლის სეულის ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე: რადიოაქტიური წყაროების იმპორტისა და ექსპორტის ქცევის კოდექსის პრინციპები აისახება ბირთვული და რადიაციული უსაფრთოების სფეროსთან დაკავშირებულ იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებში, რომელთა მიღება იგეგმება ეროვნული საკანონმდებლო ბაზის შექმნის პროცესში.

1.E ამოცანა – *საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა ბირთვული უსაფრთხოებისთვის*

	ღონისძიება	*პასუხისმგებელი პირი*	*სტატუსი/ წყარო*	*დაგეგმილი დასრულება*	*შენიშვნები*
1.E.1	ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა (მათ შორის ფიზიკურ დაცვის და დაცულობის, არალეგალური მიმოქცევის აღკვეთის, რადიოაქტიური ნივთიერებების იმპორტ-ექსპორტის კონტროლის, სასაზღვრო კონტროლის, რადიოაქტიური ნარჩენების მართვის, რადიოაქტიური ნივთიერებების ტრანსპორტირების, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სანქცირების) საერთაშორისო საკანონმდებლო ინსტრუმენტების, რეკომენდაციებისა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს რეკომენდაციების გათვალისწინებით.	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.	მიმდინარე	განგრძობითი	• „ბირთვული და რადიაცული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენს ძირითად საკანონმდებლო აქტს, რომელიც განსაზღვრავს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების, ფიზიკური დაცვისა და დაცულობის სფეროში სახელმწიფო უწყებების კომპეტენციებს. • რამდენიმე საკანონმდებლო აქტი ასევე ეხება ბირთვული და რადიაციულ უსაფრთხოებისა და დაცულობის საკითხებს, კერძოდ, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. • მიმდინარეობს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელი საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დახვეწა (ნაწილი 1E). უკვე მიღებულია შემდეგი კანონქვემდებარე

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
					ნორმატიული აქტები: ,,ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალურ მიმოქცევაზე რეაგირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 8 დეკემბრის N150 ბრძანება, ,,ტექნიკური რეგლამენტის – „მაიონებელი გამოსხივების წყაროებთან მოპყრობისადმი რადიაციული უსაფრთხოების ნორმებისა და ძირითადი მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 აგვისტოს N450 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - მაიონებელი გამოსხივების წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების, ავტორიზაციის უწყებრივი რეესტრის შექმნისა და წარმოების წესის, მაიონებელი გამისხივების წყაროების კატეგორიზაციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 დეკემბრის N689 დადგენილება, ,,ტექნიკური რეგლამენტის - მეტალის ჯართის რადიაციული მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 დეკემბრის N 756 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - ინდივიდუალური მონიტორინგის განხორციელებისა და კონტროლის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 ივლისის N359 დადგენილება. საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია და 2015-2019 წლების სამოქმედო გეგმა (,,ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 თებერვლის N164 დადგენილება). • საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 დეკემბრის N397 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, აეროპორტებში,

ღონისძიება		პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
					ნავსადგურებსა და საზღვაო სივრცეში ბირთვულ და რადიოაქტიურ ნივთიერებათა აღმოჩენისას განგაშზე ერთობლივი მოქმედების წესი“ ადგენს სახელმწიფო უწყებების კომპეტენციებს შესაბამისი ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით.
1.E.2	ქვეყნის მოთხოვნის შესაბამისად და საჭიროებისამებრ განახორციელოს საკონსულტაციო/გასაცნობი მისია შესაბამისი სახელმწიფო უწყებების პასუხისმგებელი პირებისა და კანონმდებლებისათვის რეკომენდაციებისა და რჩევების მიწოდების მიზნით, ეროვნული ბირთვული უსაფრთხოების საერთაშორისო კანონმდებლობასთან და ინსტრუმენტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით	ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ იურიდიულ საქმეთა ოფისი	მიმდინარე	განგრძობითი	
1.E.3	ქვეყნის მოთხოვნის შესაბამისად და საჭიროებისამებრ განახორციელოს საკონსულტაციო მისია ბირთვული უსაფრთხოების/ დაცულობის მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობის შემუშავებასთან/ გადახედვასთან დაკავშირებით	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური,	მიმდინარე		• 2010 წლის დეკემბერში ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული მასალების კონტრაბანდის პრევენციის პროგრამის ფარგლებში ქ. თბილისში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა აღნიშნული მიმართულებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის საჭიროებების განსაზღვრის მიზნით. • „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტები განხილული იქნა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს, ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული

ღონისძიება		პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
		ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო			უსაფრთხოების კომისიისა და ენერგეტიკის დეპარტამენტის, შვედეთის ბირთვული უსაფრთხოების სააგენტოს სპეციალისტების მიერ და მოწოდებული იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.
1.E.4	საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების შემუშავება ბირთვული უსაფრთხოების და დაცულობის სფეროში	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.	მიმდინარე	2016	• საქართველოს კანონის პროექტი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მომზადებულია; • საქართველოს კანონის პროექტი „რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ“ მომზადებულია.
1.E.5	საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების წარდგენა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისთვის	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.	წარდგენილია	2016 წლის იანვრამდე	• საქართველოს კანონის პროექტი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ წარდგენილია საქართველოს პარლამენტში (სავარაუდოდ მიღებული იქნება 2016 წლის იანვრამდე) • საქართველოს კანონის პროექტი „რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ“ წარდგენილია საქართველოს პარლამენტში (სავარაუდოდ მიღებული იქნება 2016 წლის იანვრამდე)

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
1.E.6	საკანონმდებლო ცვლილებების მიღება	საქართველოს პარლამენტი	მიმდინარე	01.01.2016.	• საქართველოს კანონის პროექტი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“; • საქართველოს კანონის პროექტი „რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ“.
1.E.7	კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, მოთხოვნების, მათთან დაკავშირებული პროცედურების შემუშავება/ რევიზია, ასევე კანონაღსრულებითი სისტემისა და ღონისძიებების გაუმჯობესება შესაბამისი დაცვისა და კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ფინანსთასამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.	მიმდინარე	01.01.2016. („ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კანონქვენმდებარე ნორმატიული აქტები)	• საქართველოს კანონი „ბირთვული და რადიაციულ უსაფრთხოების შესახებ“ განსაზღვრავს ბირთვული უსაფრთხოების სფეროში ახალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღების ვალდებულებას 2016 წლამდე, კერძოდ: ✓ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება „ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების და ნარჩენების, მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) შესახებ“; ✓ საქართველოს მთავრობის დადგენილება - ტექნიკური რეგლამენტი „ბირთვული და რადიაციული ავარიებისათვის მზადყოფნისა და მათზე რეაგირების გეგმა“; ✓ საქართველოს მთავრობის დადგენილება - ტექნიკური რეგლამენტი ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების ტრანსპორტირების წესები; ✓ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება „ბირთვული გაუვრცელებლობის გარანტიებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების წესი“.
1.E.8	ქვეყნის მოთხოვნის შესაბამისად და საჭიროებისამებრ განახორციელოს საკონსულტაციო მისია ბირთვული უსაფრთხოების სფეროში რეგულაციების, მოთხოვნების, შესაბამისი პროცედურების შემუშავებაში/	ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი	მოთხოვნილი უნდა იქნას	2016	• საქართველო მოითხოვს ექსპერტულ მისიას ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელი აქტების განახლებაში დახმარების მიღების მიზნით.

ღონისძიება		პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
	გადახედვაში დახმარების გაწევის მიზნით.				

1. F ამოცანა – *ბირთვული დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, შესაბამისი პროცედურებისა და კანონაღმასრულებელი სისტემის ჩამოყალიბება*

ღონისძიება		პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ ნომერი	დაგეგმილიდასრულება	შენიშვნები
1.F.1	ბირთვული და რადიაციული საქმიანობისლიცენზია გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ლიცენზიის მაძიებლის მიერ დაკმაყოფილებული იქნება ფიზიკური დაცვის უზრუნველყოფისა და საქართველოს კანონმდელობით დადგენილი მოთხოვნები	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.	დასრულებული		• ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიისა და შესაბამისი ნებართვების გაცემის პროცედურა განსაზღვრულია „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ (თავი IV) და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ (თავი III) საქართველოს კანონების მიხედვით. • ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია ლიცენზიის მიღების მიზნით წარუდგინოს მარეგულირებელ ორგანოს რადიაციული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის გეგმები, რომლებიც განიხილება და შეფასდება ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ.
1.F.2	რადიოაქტიური მასალების იმპორტისა და ექსპორტისადმი მოთხოვნების გათვალისწინება ავტორიზაციის პროცესში	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა	დასრულებული		რადიოაქტიური მასალების იმპორტი და ექსპორტი რეგულირდება შესაბამისი ნებართვის გაცემით.

ღონისძიება		პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ ნომერი	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
		სამინისტრო; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.			
1.F.3	ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების ტრანსპორტირებისადმი მოთხოვნების სამართლებრივი რეგულირება	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	მიმდინარე	2016	• „ტექნიკური რეგლამენტის - „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N32 დადგენილებითადა „საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის წესის“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 27 დეკემბრის N263 ბრძანებით განისაზღვრება საშიში ნივთიერებების, მათ შორის რადიოაქტიური ნივთიერებების ტრანსპორტირებისადმი მოთხოვნები. • „ტექნიკური რეგლამენტის - ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერების ტრანსპორტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი შემუშავების პროცესშია (მიღებულ უნდა იქნეს 2016 წლის 1 იანვრამდე).
1.F.4	ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის აღსრულების მექანიზმების, მათ შორის, ეფექტიანი სანქცირების განხორციელება ბირთვული და რადიაციული საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.	დასრულებული		• საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო უფლებამოსილია განახორციელოს ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ინსპექტირება და ყველა საჭირო ღონისძიება, რომლებიც აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებსა და სალიცენზიო პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის დასადგენად.; • ინსპექტირება ხორციელდება „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ინსპექტირების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“

ღონისძიება		პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ ნომერი	დაგეგმილიდასრულება	შენიშვნები
					საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის N182 ბრძანების შესაბამისად; • სანქცირებასთან დაკავშირებული პროცედურები განსაზღვრულია „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსებით; • ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განმახორციელებელი პირების გეგმური ინსპექტირება ხორციელდება ინსპექტირების ყოველწლიური პროგრამის შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რერსურსების დაცვის მინისტრი. არაგეგმური ინსპექტირება ხორციელდება გეგმური ინსპექტირების პროგრამით დადგენილი გრაფიკის გაუთვალისწინებლად; • ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია გაიცემა განუსაზღვრელი ვადით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით შესაძლებელია ლიცენზიის გაუქმება (კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ლიცენზიის დროებით შეჩერებას).

მოქმედების სფერო 2: პრევენცია

2.A ამოცანა – *ბირთვული დაცულობის საფრთხის დადგენა და შეფასება და სამიზნეების დადგენა*

ღონისძიება		*პასუხისმგებელი პირი*	*სტატუსი/ წყარო*	*დაგეგმილი დასრულება*	*შენიშვნები*
2.A.1	ქვეყნის ბირთვული უსაფრთხოების თვალსაზრისით შიდა და გარე საფრთხეების შეფასება ამ საფრთხეების შესაძლო ზემოქმედების გათვალისწინებით და იმის მიუხედავად, შიდა ბირთვული საფრთხის სამიზნეები ქვეყნის იურისდიქციის ქვეშაა თუ მის გარეთ	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო	მიმდინარე	2017	• განახლების პროცესშია საქართველოს საფრთხეების შეფასების 2015-2017 წლების დოკუმენტი. • აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრება ძირითადი საფრთხეები, მათ შორის ბირთვული დაცულობის თვალსაზრისით ქვეყნისთვის პოტენციური საფრთხეები. • მიღებულ უნდა იქნს ახალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, როგორიცაა, მაგალითად, „ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების და ნარჩენების, მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება, „ტექნიკური რეგლამენტის – ბირთვული და რადიაციული ავარიებისათვის მზადყოფნის და მათზე რეაგირების გეგმის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება.
2.A.2	პროექტირების საბაზისო საფრთხის (შემდგომში - DBT) განსაზღვრა უკვე არსებული საფრთხეების შეფასების საფუძველზე, ობიექტების, მასალების და პრაქტიკის (მათ შორის ტრანსპორტირების) მიმართ უსაფრთხოებისა და დაცულობის მოთხოვნების დადგენის მიზნით. DBT-ს პერიოდული განახლება საფრთხეების ცვლილებებთან	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; ოპერატორები; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო,	ინიცირებული უნდა იქნას	2018	• საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო მოითხოვს DBT-ს მომზადებას ობიექტის ოპერატორების (ლიცენზიანტების) მიერ. • ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შენიშვნა: ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების ინვენტარიზაცია უნდა მოიცავდეს საკმარის ინფორმაციას საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის საფრთხეების შეფასებისა და შემდგომი ფიზიკური დაცვისა და დაცულობის ღონისძიებების მოთხოვნის მიზნით.

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
	დაკავშირებით	სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.			
2.A.3	ქვეყნის მოთხოვნის შესაბამისად და საჭიროებისამებრ ეროვნული DBT სამუშაო შეხვედრის ჩატარება, რაც პროექტირების საბაზისო საფრთხეების შემუშავებაში მონაწილე პირებს საშუალებას მისცემს უკეთესად გაეცნონ შესაბამის მეთოდოლოგიას და ინტერაქტიულ პროცესებს	შესაბამისი სამინისტროები; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი	მიმდინარე	2011 - ჩატარდა სამუშაო შეხვედრა. პერიოდული ჩატარების აუცილებლობა	2011 წლის სამუშაო შეხვედრის შემდეგ გამოიკვეთა ამგვარი ღონისძიებების პერიოდული ჩატარების აუცილებლობა.
2.A.4	სამიზნეების დადგენა, რაც მოიცავს სტრატეგიულ ლოკაციებს და ტრანსპორტირების გზებს, ამ სამიზნეებზე შესაძლო ზემოქმედების შედეგების შეფასებით. ამდაგვარი სამიზნეებს შეფასების განახლება	შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.	მიმდინარე		

2.B ამოცანა – *ბირთვული ნივთიერების აღრიცხვისა და კონტროლის (SSAC) შესაბამისი ეფექტური სახელმწიფო სისტემის შექმნა და მხარდაჭერა*

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
2.B.1	ბირთვული ნივთიერებების აღრიცხვისა და კონტროლის (შემდგომში - SSAC) შეფასება, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის მოთხოვნებთან მისი	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსებისა დაცვის	მიმდინარე		• საქართველო მიერთებულია CSA-თან (Comprehensive Safeguards Agreement) და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გარანტიების დეპარტამენტს წარუდგენს სპეციალურ ანგარიშებს. • საქართველო არ არის მიერთებული ატომური ენერგიის

	შესაბამისობის დადგენის მიზნით	სამინისტრო			საერთაშორისო სააგენტოს SQP (Small Quantity Protocol) -თან.
2.B.2	ქვეყნის მოთხოვნის შესაბამისად და საჭიროებისამებრ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს SSAC-ის საკონსულტაციო სამსახურის შემდგომში - ISSAS) მისიის განახორციელება	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსებისა დაცვის სამინისტრო; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/გარანტიების დეპარტამენტი	დასრულებული	ივლისი 2008	• მისია განხორციელდა
2.B.3	ISSAS-ს მისიის რეკომენდაციების გათვალისწინება SSAC-ის შექმნისას. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ან სხვა დონორის მხარდაჭერის მიღება საჭიროების შემთხვევაში	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსებისა დაცვის სამინისტრო; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი;	მიმდინარე		• რეკომენდაციები გათვალისწინებულია ბირთვული ნივთიერებების ინვენტარიზაციის ელექტრონული სისტემის შექმნისას.

		დონორები			
2.B.4	SSAC განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით ტრენინგების ჩატარება ბირთვულ და რადიოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ობიექტების წარმომადგენლებისთვის, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ან სხვა დონორების დახმარებით	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/გარანტიების დეპარტამენტი; დონორები	მიმდინარე	განგრძობითი	საქართველომ მოითხოვა დამატებითი ტრენინგის ჩატარება ქვეყანაში არსებული აღჭურვილობის გამოყენებით, ბირთვული მასალების აღრიცხვისა და ფიზიკური მახასიათებლების შეფასების გაუმჯობესების მიზნით

2. C ამოცანა – *ბირთვული ნივთიერებებისა და ობიექტების შესაბამისი და ეფექტური ფიზიკური დაცვის ღონისძიებების შექმნა და მხარდაჭერა არასანქცირებული დაუფლების და საბოტაჟის პრევენციის მიზნით*

ღონისძიება		*პასუხისმგებელი პირი*	*სტატუსი/ წყარო*	*დაგეგმილი დასრულება*	*შენიშვნები*
2.C.1	შესაბამისი ობიექტების ფიზიკური დაცვის სისტემებისა და ბირთვული დაცულობის გეგმების მიმოხილვა, მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის შეფასება და გაუმჯობესების ღონისძიებების დასახვა საჭიროების	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; აშშ-ს ენერგეტიკის	მიმდინარე	განგრძობითი	• საქართველოში ხორციელდება მაღალი ხარისხის უსაფრთხოებისა და ფიზიკური დაცვის ღონისძიებები ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით. • აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტი/NNSA/GTRI, გაერთიანებული სამეფოს ენერგეტიკისა და კლიმატის

	შემთხვევაში. ფიზიკური დაცვის სისტემების ტექნიკური მხარდაჭერის საჭიროებების განსაზღვრა მათი მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით	დეპარტამენტი/NNSA/ GTRI; გაერთიანებული სამეფოს ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი/ DECC/GTRI; შვედეთის ბირთვული უსაფრთხოების სააგენტო (SSM); ობიექტები			ცვლილების დეპარტამენტი/ DECC/GTRI და შვედეთის ბირთვული უსაფრთხოების სააგენტო (SSM) უზრუნველყოფენ ტექნიკური დახმარებას. • საჭიროა შესაბამისი რეგულაციების მიღება ფიზიკური დაცვისა და ბირთვული დაცულობის მიმართ კონკრეტული მოთხოვნების განსაზღვრის მიზნით. • ფიზიკური დაცვის ღონისძიებების შემოწმება წარმოადგენს ინსპექტირების ერთ-ერთ კომპონენტს. • ფიზიკური დაცვის ღონისძიებების შეცვლის შემთხვევაში მარეგულირებელი ორგანო დაუყოვნებლივ უნდა იქნას ინფორმირებული ოპერატორის მიერ. • რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ფიზიკური დაცვის ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდა გაერთიანებული სამეფოს და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მხარდაჭერით.
2.C.2	ქვეყნის მოთხოვნის შესაბამისად და საჭიროებისამებრ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს საერთაშორისო ფიზიკური დაცვის საკონსულტაციო მისიის (IPPAS) ან მსგავსი ტექნიკური საექსპერტო მისიის განხორციელება შესაბამისი ობიექტების ფიზიკური დაცვისა და დაცულობის სისტემების შეფასების მიზნით	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; ობიექტები; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი	დასრულებული	2008	• ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს რეკომენდაციები ფიზიკური დაცვის სისტემების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ასახულია ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს საერთაშორისო ფიზიკური დაცვის საკონსულტაციო მისიის (IPPAS) 2008 წლის ანგარიშში. • აშშ ენერგეტიკის დეპარტამენტის (NNSA) და შვედეთის ბირთვული უსაფრთხოების სააგენტოს (SSM) მიერ შეფასდა ობიექტების ფიზიკური დაცვის სისტემები.
2.C.3	ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს საერთაშორისო ფიზიკური დაცვის საკონსულტაციო მისიის (IPPAS) და სხვა რეკომენდაციების გათვალისწინება და ფიზიკური დაცვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; ობიექტები; ატომური ენერგიის საერთაშორისო	მიმდინარე		ფიზიკური დაცვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები შესაბამის ობიექტებზე შესრულდა აშშ-ის, შვედეთის, გაერთიანებული სამეფოს და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დახმარებით.

		სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი; დონორები			
2.C.4	ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსა და სხვა დონორების მხარდაჭერით ტრენინგების ჩატარება ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებებისა და ობიექტების ფიზიკური დაცვისა და დაცულობის სფეროში	შესაბამისი სამინისტროები; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი; დონორები	მიმდინარე	განგრძობითი	• ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის დეპარტმენტის ეროვნული ბირთვული უსაფრთხოების ადმინისტრაციის მიერ გლობალური საფრთხეების შემცირების ინიციატივის ფარგლებში 2010 წლიდან საქართველოში ტარდება ყოველწლიური სემინარი (ბირთვული უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლება) და ტრენინგი (ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების ფიზიკური დაცვის და უსაფრთხოების მართვა) შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისათვის.

2. D ამოცანა – *რადიოაქტიური წყაროებისა და სხვა რადიოაქტური ნივთიერებების ეროვნული რეესტრის შექმნა და მისი წარმოების მხარდაჭერა*

ღონისძიება		*პასუხისმგებელი პირი*	*სტატუსი/ წყარო*	*დაგეგმილი დასრულება*	*შენიშვნები*
2.D.1	რადიოაქტიური მასალების რეესტრში ინფორმაციის რეგისტრაციისა და განახლების პროცედურების შექმნა	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	დასრულებული		• საკანონმდებლო ბაზა რადიოაქტიური წყაროების, ნარჩენებისა და მათთან დაკავშირებული ღონისძიებების რეესტრისთვის განსაზღვრულია „ტექნიკური რეგლამენტის - მაიონებელი გამოსხივების წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების, ავტორიზაციის უწყებრივი რეესტრის შექმნისა და წარმოების წესის, მაიონებელი გამოსხივების წყაროების კატეგორიზაციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 დეკემბრის N689 დადგენილებით. რადიოაქტიური წყაროებისა და რადიოაქტიური ნარჩენების კატეგორიზაცია შეესაბამება ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მოთხოვნებსა და რეკომენდაციებს.

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
2.D.2	კატეგორიზებული რადიოაქტიური წყაროებისა და სხვა რადიოაქტიური მასალების არსებული რეესტრის წარმოების მხარდაჭერა	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; ოპერატორები	მიმდინარე		• საქართველო დღეისათვის იყენებს რადიოაქტიური ნივთიერებების რეესტრის განახლებულ ვერსიას, რომელიც წარმოადგენს RASOD-ის მოდულს ARIS 2.0 პროგრამული უზრუნველყოფით და რომელიც შექმნილია აშშ-ს ბირთვული მარეგულირებელი კომისიის (NRC) მხარდაჭერით. • ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს RAIS-ის ინტერფეისი ასევე გადათარგმნილია ქართულ ენაზე.
2.D.3	რადიოაქტიური წყაროების არსებული რეესტრის რეგულარული შემოწმების პროცედურების შექმნა და განხორციელება	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; ოპერატორები	მიმდინარე		• საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ატარებს ინსპექტირებას, რომლის დროსაც მოწმდება ობიექტებზე განთავსებული რადიოაქტიური წყაროების შესაბამისობა რეეტრის მონაცემებთან. • სალიცენზიო პირობების მიხედვით ლიცენზიანტი ვალდებულია შეატყობინოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსებისა დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტს საქმიანობის ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

2. E ამოცანა– *რადიოაქტიური წყაროებისა და სხვა რადიოაქტიური ნივთიერებების გამოყენების, შენახვის და გადამუშავებისას შესაბამისი და ეფექტური ფიზიკური დაცვის ღონისძიებების უზრუნველყოფა არასანქცირებული დაუფლებისა და საბოტაჟის პრევენციის მიზნით.*

	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი	სტატუსი/ წყარო	დაგეგმილი დასრულება	შენიშვნები
2.E.1	შესაბამისი ობიექტების, აქტივობების და სხვა ლოკაციების ფიზიკური დაცვისა და დაცულობის ღონისძიებების მიმოხილვა არსებულ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის დადგენის და გაუმჯობესების	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; ატომური ენერგიის	მიმდინარე	განგრძობითი	• ფიზიკური დაცვის სისტემების დოკუმენტაციის შესწავლა ხორციელდება ლიცენზიის გაცემამდე, ხოლო შემოწმება წარმოადგენს გეგმური და არაგეგმური ინსპექტირების ნაწილს. • აშშ ენერგეტიკის დეპარტამენტის მიერ მხარდაჭერილი სამუშაოების არეალი მოიცავს იმ ობიექტების ფიზიკური

	ღონისძიებების დასახვის მიზნით	საერთაშორისო სააგენტო; აშშ ენერგეტიკის დეპარტამენტი; გაერთიანებული სამეფოს ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი; შვედეთის ბირთვული უსაფრთხოების სააგენტო			დაცვის სისტემების გაუმჯობესებას, სადაც ინახება ან/და გამოიყენება მაღალაქტიური რადიაციული წყაროები (10 Ci და მეტი აქტივობის Co60, Cs137, Sr90, Ir192, Am241, Ra226). • ეს ობიექტებია: ▪ რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებული საცავის (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტთან არსებული); ▪ ონკოლოგიური ცენტრები (თბილისი) ▪ SSDL - მეორადი სტანდარტების დოზიმეტრიული ლაბორატორია • გაერთიანებული სამეფოს ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის (DECC)/GTRI დაფინანსებით და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ბირთვული უსაფრთხოების ფონდის (NSF) მეშვეობით გაუმჯობესდა საქართველოში საკაძის რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ფიზიკური დაცვის ინფრასტრუქტურა. რაც შეეხება სამუშაოს, სააგენტომ განახორციელა შეფასებითი მისია ობიექტზე 2011 წლის იანვარში საქართველოსა და გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლებთან ერთად. 2012 წლის ივლისში დაიდო ხელშეკრულება ადგილობრივ სამშენებლო კომპანიასთან და სამუშაო დაიწყო 2013 წლის შუა პერიოდში. ფიზიკური დაცვის ინფრასტრუქტურის განახლება დასრულდა 2014 წლის ბოლოს. • შესაძლოა არსებობდეს რადიოაქტიური წყაროების განთავსების ადგილები (მაგალითად ინდუსტრიული რადიოგრაფები), სადაც შესაძლოა არსებობდეს ფიზიკური დაცვის გაუმჯობესების საჭიროება, რაც უნდა შეაფასოს მარეგულირებელმა ორგანომ.
2.E.2	ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ტექნიკური ექსპერტული მისიის ან სხვა დონორის მიერ მხარდაჭერილი მისიის განხორციელება, შესაბამისი	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;	მიმდინარე		• საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსებისა დაცვის სამინისტროსა და აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება საქართველოს მაღალაქტიური რადიაცული წყაროების უსაფრთხოების გაუმჯობესების თაობაზე.

	ობიექტების ფიზიკური დაცვის სისტემების შეფასების მიზნით	ობიექტები; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი; აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტი; გაერთიანებული სამეფოს ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი; აშშ-ს ბირთვული მარეგულირებელი კომისია			
2.E.3	გამოყენებიდან ამოღებული, მარეგულირებელ კონტროლის გარეთ დარჩენილი ან კრიმინალური მიმოქცევიდან ამოღებული რადიოაქტიური ნივთიერებების შენახვის მიზნით შესაბამისი ფიზიკური დაცვის სისტემებით აღჭურვილი საცავების გამოყოფა/ შექმნა	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტი	დასრულებული	2015	• რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებული საცავი აშენდა 2007 წელს აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტის დახმარებით სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის ტერიტორიაზე. • უსაფრთხოებისა და დაცულობის ზომები გაუმჯობესდა აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტის (NNSA/GTRI) დახმარებით 2015 წელს.
2.E.4	ობიექტებზე პერიოდული ტექნიკური შეფასებისა და გრძელვადიანი მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება ფიზიკური დაცვის ინფრასტრუქტურის მდგრადი ფუნქციონირების მიზნით	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; ობიექტები; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული	მიმდინარე		• აშშ ენერგეტიკის დეპარტამენტის (NNSA/GTRI) მიერ ობიექტებისათვის ფიზიკური დაცვის კომპონენტების უზრუნველყოფა ასევე მოიცავს გრძელვადიან სტრატეგიას (3-წლიანი ეტაპებით) ამ სისტემების მხარდაჭერის მიზნით. • საქართველომ უნდა ჩამოაყალიბოს ფიზიკური დაცვის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მხარდაჭერის გრძელვადიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. • ფიზიკური დაცვის სისტემის გამართული მუშაობა მოწმდება გეგმური და არაგეგმური ინსპექტირების დროს.

		უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი; აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტი გაერთიანებული სამეფოს ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი			
2.E.5	უკონტროლო (უპატრონო) წყაროების მოძიება	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო; აშშ; გაერთიანებული სამეფო.	მიმდინარე	განგრძობითი	• საქართველომ ჩაატარა მრავალრიცხოვანი საძიებო ოპერაციები. გარკვეული რაოდენობის რადიოაქტიური წყარო იქნა მოძიებული და უსაფრთხოდ განთავსებული. • ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო დაეხმარა ქვეყანას უკონტროლო (უპატრონო) წყაროების მოძიებასა და განთავსებაში (ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ეროვნული ტექნიკური თანამშრომლობის პროექტი GEO/9/004). • აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტმა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტს გადასცა აღჭურვილობა და ჩაუტარა შესაბამისი ტრენინგი უპატრონო წყაროების ძებნის მიზნით. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინფორმაციით ეს რესურსი საკმარისია ძირითადი საძიებო ღონისძიებების ჩასატარებლად, მაგრამ არასაკმარისია უფრო რთული კვლევისათვის.
2.E.6	გამოყენებიდან ამოღებული და უკონტროლო (უპატრონო) წყაროების შესაბამის საცავებში გადატანისა და უსაფრთხო განთავსების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. საჭიროების შემთხვევაში ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ან/და სხვა დონორი ორგანიზაციების დახმარების	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; ობიექტები; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული	მიმდინარე		• აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტმა და აშშ ბირთვულმა მარეგულირებელმა კომისიამ დააფინანსა გამოყენებიდან ამოღებული რადიაციული წყაროების ამოღება და გატანა დაუცველი ობიექტებიდან. • აშშ ენერგეტიკის დეპარტამენტის NNSA/GTRI მიერ მხარდაჭერილი სამუშაოების არეალი მოიცავს გამოყენებიდან ამოღებული მაღალაქტიური რადიაციული წყაროების შემცველი დანადგარების დემონტაჟს (სამეცნიერო-კვლევითი დამასხივებლები, ტელეთერაპიის

	მოძიება ამ ღონისძიებების განსახორციელებლად	უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი; აშშ; გაერთიანებული სამეფო			დანადგარები), ამ წყაროების კონსოლიდაციას და გადატანას რადიოაქტიური წყაროების ცენტრალიზებულ საცავში ○ მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი (დამასხივებლები დაშლილია და წყაროები გადატანილია); ○ ტელეთერაპიული დანადგარები (თბილისის ყოფილი მეცხრე საავადმყოფოსა და რკინიგზის საავადმყოფოში (დემონტაჟი განხორციელებულია); ○ უპატრონო რადიოაქტიური წყაროების მოძიება და კონსოლიდაცია (დასავლეთ საქართველო, ანასეული) • არ არსებობს სახელმწიფო პროგრამა ან ღონისძიების განხორციელებისთვის. • ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, უზრუნველყოს გამოყენებიდან ამოღებული წყაროს უსაფრთხოება, მისი გადატანა რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებულ საცავში, ან მწარმოებლისთვის მისი უკან დაბრუნება. • სახელმწიფო (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და სხვა შესაბამისი სახელმწიფო უწყებები) ვალდებული არიან, უზრუნველყონ უპატრონო (უკონტროლო) რადიოაქტიური წყაროს უსაფრთხო გადატანა და რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებული საცავში განთავსება. • საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ფლობს შესაბამის აღჭურვილობას რადიოაქტიური წყაროსთან უსაფრთხო მოპყრობისათვის. ამასთან, წყაროების ამოღების ოპერაცია ტარდება ერთობლივად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის უშუალო ზედამხედველობით.
2.E.7	გამოყენებიდან ამოღებული წყაროების მწარმოებლისთვის (მომწოდებლისთვის) დაბრუნების ღონისძიებების უზრუნველყოფა.	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის	მიმდინარე		• ,,ტექნიკური რეგლამენტის – „მაიონებელი გამოსხივების წყაროებთან მოპყრობისადმი რადიაციული უსაფრთხოების ნორმებისა და ძირითადი მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 აგვისტოს

	საჭიროების შემთხვევაში ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ან სხვა დონორების მხარდაჭერის მიღება ამ ღონისძიების განხორციელებისთვის	სამინისტრო; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი			N450 დადგენილების შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელი პასუხისმგებელია ლიცენზიის ფარგლებში მისი საქმიანობით წარმოქმნილ რადიოაქტიურ ნარჩენებთან უსაფრთხო მოპყრობაზე, იმ მომენტამდე, სანამ რადიოაქტიურ ნარჩენებს გადასცემს განთავსებისთვის. რესურსამოწურული წყაროების შენახვა ობიექტზე დასაშვებია არა უმეტეს ორი წლის განმავლობაში, რომლის შემდეგ ის უნდა გადაეცეს რადიოაქტიური ნარჩენების სამარხს/ საცავს ან დაუბრუნდეს მწარმოებელს. ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე იმპორტირებული იმ წყაროების უსაფრთხო ამოღება და განთავსება, რომლებიც ამოღებული იქნა გამოყენებიდან, წარმოადგენს სახელმწიფოს (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტი) ვალდებულებას.
2.E.8	რადიოაქტიური წყაროებისა და სხვა რადიოაქტიური მასალების ფიზიკური დაცვის შესახებ ტრენინგების ჩატარება, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ან სხვა დონორების მხარდაჭერით	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი; დონორები	მიმდინარე	განგრძობითი	• აშშ ენერგეტიკის დეპარტამენტი (NNSA/GTRI) უზრუნველყოფს შესაბამისი პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარებას. • საქართველოს მიღებული აქვს შეთავაზება, გახდეს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს რადიოაქტიური წყაროების დაცულობის სამუშაო ჯგუფის (WGRSS) წევრი.

2. F ამოცანა – *რადიოაქტიური მასალის ტრანსპორტირებისთვის შესაბამისი და ეფექტიანი ფიზიკური დაცვის ღონისძიებების უზრუნველყოფა და მხარდაჭერა*

ღონისძიება		*პასუხისმგებელი პირი*	*სტატუსი/ წყარო*	*დაგეგმილი დასრულება*	*შენიშვნები*
2.F.1	ოპერატორები ახორციელებენ შეფასებას შესაბამისი შესრულების ინდიკატორების (performance indicators) საფუძველზე. შეფასება უნდა გადამოწმდეს კომპეტენტური ორგანოების მიერ	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; ოპერატორები	მიმდინარე		• „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს ლიცენზიის გაცემის პროცედურებს ბირთვული მასალების, რადიოაქტიური წყაროების და რადიოაქტიური ნარჩენების ტრანსპორტირებაზე. ,,ტექნიკური რეგლამენტის - „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის“ დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N32 დადგენილება და „საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის წესის“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 27 დეკემბრის N263 ბრძანება განსაზღვრავს მოთხოვნებს საშიში ნივთიერებების, მათ შორის რადიოაქტიური ნივთიერებების ტრანსპორტირებისადმი. ○ მიღებულ უნდა იქნას ,,ტექნიკური რეგლამენტის – ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების ტრანსპორტირების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომლითაც განისაზღვრება რადიოაქტიური მასალების უსაფრთხო ტრანსპორტირების მოთხოვნები.
2.F.2	ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების ტრანსპორტირების დაცულობის ღონისძიებების შესაბამისობაში მოყვანა ამ ნივთიერებების ფიზიკური დაცვის კლასიფიკაციასთან	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების	ინიციირებული უნდა იქნას	2016	ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების ფიზიკური დაცვის კლასები უნდა განისაზღვროს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებით „ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების და ნარჩენების, მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების

		სამსახური; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; ოპერატორები			ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) შესახებ“;
2.F.3	ტრენინგის ჩატარება ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების უსაფრთხო ტრანსპორტირების სფეროში ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ან სხვა დონორების მხარდაჭერით	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი; დონორები	ინიცირებულია	2015 წლიდან	აშშ ენერგეტიკის დეპარტამენტის NNSA/GTRI-ს დაგეგმილი აქვს სემინარებისა და ტრენინგების რეგულარული ჩატარება ტრანსპორტირების უსაფრთხოების სფეროში 2015 წლის შემოდგომიდან.

მოქმედების სფერო 3: აღმოჩენა

3.A ამოცანა – *ეროვნული სტრატეგიის შემუშავება ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების გამოვლენის, შეჩერებისა და არალეგალური მიმოქცევის წინააღმდეგ ბრძოლისთვის შესაბამისი და ეფექტური სისტემების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის*

	ღონისძიება	*პასუხისმგებელი პირი*	*სტატუსი/ წყარო*	*დაგეგმილი დასრულება*	*შენიშვნები*
3.A.1	ეროვნული სტრატეგიის შემუშავება ბირთვული საფრთხის შემცველი დანაშაულებრივი აქტის ან სხვა უკანონო ქმედების გამოვლენის მიზნით (ბირთვული დეტექციის სტრატეგია), რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს მარეგულირებელი კონტროლიდან გამოსულ ბირთვულ და რადიოაქტიურ ნივთიერებებთან	სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ინიცირებული უნდა იქნას	2018	• საქართველო წარმოადგენს ბირთვული ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ინიციატივის (GICNT) სამუშაო ჯგუფის წევრს, რომელიც მუშაობს „ბირთვული დეტექციის არქიტექტურის“ სახელმძღვანელოს შექმნაზე; • საქართველოში არ არის ოფიციალურად შემუშავებული და დამტკიცებული ბირთვული დეტექციის სტრატეგია; • ბირთვული დეტექციის სტრატეგია შემუშავების კოორდინაცია განხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შესაბამისი კომპეტენტური უწყებების მიერ; • ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების (CBRN) საფრთხეების შემცირების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია.
3.A.2	მოთხოვნისა და საჭიროების შესაბამისად შემფასებელი მისიის ჩატარება დეტექციის წარმოდგენილი სტრატეგიის შემუშავება/მიმოხილვის მიზნით	ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი;	მოთხოვნილი უნდა იქნას	2016-2017	საქართველო მოითხოვს საკონსულტაციო მისიას, რომ მოხდეს დახმარების აღმოჩენა ბირთვული გამოვლენის სტრატეგიის შემუშავებაში, რომელიც გაითვალისწინებს გამოვლენის არსებულ შესაძლებლობებს. დაგეგმილია ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინტეგრირებული მარეგულირებელი შემოწმების სამსახურის (IRSS) მისიის მოთხოვნა, რომელიც მოიცავს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოებისა და დაცულობის ყველა საკითხს.

		დონორები			
3.A.3	ბირთვული დეტექციის ეროვნული სტრატეგიის მიღება	შესაბამისი სამინისტროები და უწყებები		2018	

3.B ამოცანა - *ბირთვული გამოვლენის ეროვნული სტრატეგიის პრიორიტეტების შესაბამისად რადიოაქტიური ნივთიერებების მონიტორინგისა და დეტექციის შესაბამისი ეფექტური საშუალებების დანერგვა და მხარდაჭერა*

	ღონისძიება	*პასუხისმგებელი პირი*	*სტატუსი/ წყარო*	*დაგეგმილი დასრულება*	*შენიშვნები*
3.B.1	მონიტორინგისა და რადიაციის დეტექციის მოწყობილობების შეძენა, დაინსტალირება და კალიბრირება იმ პრიორიტეტების მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია ბირთვული დეტექციის ეროვნული სტრატეგიით. შეზღუდული რესურსების შემთხვევაში დახმარების მოთხოვნა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ან სხვა დონორებისგან.	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/ბირთვული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის დეპარტამენტი; აშშ ენერგეტიკის დეპარტამენტი (SLD) აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი	მიმდინარე		• გაეროს უშიშროების საბჭოს N1540 რეზოლუციის კომიტეტის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ყველა საზღვაო, სარკინიგზო და საჰაერო სასაზღვრო გამტარი პუნქტი სრულადაა აღჭურვილი რადიაციის დეტექტორებით. • 2003 წელს ჩატარებული შეფასების მისიის (INSServ) საფუძველზე ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ საქართველოს 2004-2007 წლებში აღმოუჩინა შემდეგი სახის ტექნიკური დახმარება: ▪ ფოთის საზღვაო პორტისათვის და მობილური დამხმარე საექსპერტო ჯგუფისათვის განხორციელდა შემდეგი აღჭურვილობის შემოტანა და გადაცემა: • რადიაციის პორტალური მონიტორის სამი კომპლექტი ავტომობილების შემოწმებისთვის • რადიაციის პორტალური მონიტორის ერთი კომპლექტი ფეხით მოსიარულეთა შემოწმებისთვის • 9 ერთეული რადიონუკლიდების იდენტიფიცირების ხელსაწყო (ხელის სპექტრომეტრი) • 25 ერთეული რადიაციის პერსონალური დეტექტორი ▪ საბოლოო მომხმარებელი: საქართველოს ფინანსთა

		(EXBS და NSOI) აშშ თავდაცვის დეპარტამენტი (DTRA)			სამინისტროს შემოსავლების სამსახური • აშშ-ს ენერგეტიკისა და თავდაცვის დეპარტამენტების მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო ტექნიკური აღჭურვილობა (რადიაციის პერსონალური დეტექტორი (ე.წ. პეიჯერი), პორტატული რადიომეტრები, რადიონუკლიდების იდენტიფიკატორი და მინივენი რადიაციული მონიტორებით) და პოლიციის თანამშრომლებს ჩაუტარდათ სპეციალური ტრენინგები, აშშ-მ ასევე მიაწოდა პორტატული რადიაციული დეტექტორები, ინფრაწითელი თერმული კამერები, პერსონალური ღვედები, ტრენინგები და სხვა დახმარება მოცემული პროექტისთვის. • ენერგეტიკის დეპარტამენტის SLD პროგრამა უზრუნველყოფს საქართველოს სასაზღვრო ინფრასტრუქტურისთვის სრულმასშტაბიან დახმარებას რადიაციული პორტალური მონიტორინგის სისტემების მიწოდების, ინსტალაციის, გამოცდისა და გრძელვადიანი მხარდაჭერის გზით. • აშშ-მ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სანაპირო დაცვის განვითარებისთვის, აშშ-ს დახმარებით აშენდა და აღიჭურვა სანაპირო დაცვის ბაზები და სადგურები. საქართველომ მიიღო ხომალდები, კომპუტერული, საკომინიკაციო და სხვა ტიპის აღჭურვილობა. • ვიდეოკონტროლის კამერები (CCTV) დამონტაჟებულია სასაზღვრო-გამტარ პუნქტებში, რომელიც მიერთებულია ცენტრალურ მონაცემთა ბაზასთან და იძლევა 24/7 კონტროლის შესაძლებლობას. პიროვნების იდენტიფიცირებისა და რეგისტრაციისთვის სისტემა დაყენებულია ყველა სასაზღვრო-გამტარ პუნქტზე. • საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები სასაზღვრო-გამტარ პუნქტებზე ასევე აღჭურვილნი არიან პერსონალური რადიაციის დეტექტორებითა და რადიოაქტიური იზოტოპების დეტექტორებით. • სპეციალური მეორადი სტანდარტების ლაბორატორია შექმნილია, რომ უზრუნველყოს რადიაციის გამზომი ხელსაწყოების დამოწმება/დაკალიბრება. *რადიაციის დეტექციის ტექნიკურ შესაძლებლობის განვითარებისთვის ღონისძიებები გრძელდება.*
3.B.2	სახელმწიფო, მათ შორის მწვანე საზღვრებზე ძებნის და აღმოჩენის	საქართველოს შინაგან საქმეთა	მიმდინარე		• საპატრულო პოლიცია საქართველოს მთელს ტერიტორიაზე აღჭურვილია რადიოაქტიულ ნივთიერებების დეტექციის